ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი. 19 მაისი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 152

,,აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 14 იანვრის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27^{1}–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 27^{11}–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების I თავის მე–5 მუხლის ,,რ" პუნქტის, მე–6 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის და ,,ხვიჩა ჟიშკარიანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ" სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 14 მაისის N149 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ,,აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 14 იანვრის N18 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

   ა) განკარგულების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

   ,,ბ. მერაბ ხუნჯგურუა - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსი;".

2. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისრტრაციული კოდექსის" 54–ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაიცული კოდექსის" 180–ე მუხლის I ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის"22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, მის: ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ტელ.: 0 (415) 25 00 04, ფაქსი: 0 (415) 25 05 05.